დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 1 თებერვალი**

დისციპლინური საქმე №9/23
ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2023 წლის 20 იანვარს -- -- წარმომადგენლის -- -- მიერ წარმოდგენილ იქნა №9 საჩივარი -- -- მიმართ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- წლის -- -- №-- გადაწყვეტილების საფუძველზე, -- -- წლის -- --, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს -- -- მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით.

შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- წარმომადგენელს -- -- №9/23 საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე ეთქვას უარი.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი